პატივი ეცით მეტოქეს

მოსკოვი, 10 ივლისი. კალათბურთელ ვაჟთა ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად მიიჩნევენ ყირგიზეთის გუნდის თამაშს, რომელიც I შესარჩევ ჯგუფში გამოდის. ნუ გაგიკვირდებათ: ყირგიზეთის წარმომადგენლებს განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ — მიაღწიეს ერთადერთ გამარჯვებას მათი ჯგუფისა და ალბათ მთელი ტურნირის აუტსაიდერთან — თურქმენეთის ნაკრებთან. მაგრამ დიდი კალათბურთისთვის აქამდე თითქმის უცნობი კოლექტივი თავისი ორი „კალენდარული" მარცხით საქართველოსა და უკრაინის გუნდებთან მაინც საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა და დამსახურებულადაც იღებს მილოცვებს.

სპარტაკიადის მთავარი არსიც სწორედ ისაა, რომ ზოგს გზა გაუხსნას დიდი სპორტისკენ და ზოგიც მომავალი წარმატებებისთვის მოამზადოს. კალათბურთელ ვაჟთა არც ისე დიდი ხნის წინათ დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის რუკაზე ყირგიზეთი აღნიშნული არც იყო. გავიდა ორი-სამი თვე და რესპუბლიკამ სპარტაკიადის ფინალში წარმოადგინა საკმაოდ ძლიერი და უაღრესად მონდომებული გუნდი.

საქართველოს კალათბურთელები მასთან თამაშს საწვრთნელი ვარჯიშის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი თავისებურად მართალიც იყვნენ, ვინაიდან უწინ ამ მეტოქესთან არავითარი საქმე არ ჰქონიათ. ყირგიზეთის სპორტსმენებმა თამაში დიდი მონდომებით დაიწყეს და მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ცდილობდნენ არაფერში დაუდოთ ტოლი ძლიერი კონკურენტისთვის. ტაიმს უფრო ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სპორტული. ფავორიტი აშკარად ნერვიულობდა იმის გამო, რომ თამაშის ბედი ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყვიტა. უფრო მეტიც, ამ სიჩქარეში მან მეტოქეს ტაიმის მოგების საშუალებაც კი მისცა — 34:33.

მერე, რა თქმა უნდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და, როცა საქართველოს კალათბურთელები მეტოქის მიმართ თავისებური სიმპათიით განიმსჭვალნენ, ყირგიზთა ბაირამობაც მორჩა. მოჭადრაკეებს აქვთ ასეთი გამოთქმა: დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყოო. დიახ, ლიდერის ავტორიტეტმა და გამოცდილებამ გადაძალა მიშველი ენთუზიაზმი და პირველ 20 წუთს დარღვეული წონასწორობაც აღდგა. და მაინც, დამარცხებული (72:82) მხიარულად სტოვებდა მოედანს. მან უდავოდ მიაღწია საწადელს: ყირგიზეთის გუნდს ამიერიდან ყველა გაუწევს ანგარიშს. თუმცა...,

წინა სპარტაკიადის ჩემპიონებს — უკრაინელ კალათბურთელებს ეს მატჩი არ უნახავთ. ისინი დარბაზში მაშინ მოვიდნენ, როცა მორიგი წყვილი თამაშისთვის ემზადებოდა და მაყურებელთა მღელვარე განწყობილება მოულოდნელი სენსაციის შთაბეჭდილებას მიაწერეს. უკრაინელებს თავიანთი დარდი ჰქონდათ: მათ როგორღაც არ ეხერხებათ უზბეკეთის გუნდთან თამაში და მომავალ ბრძოლაზე ფიქრით იყვნენ დაკავებული.

საათნახევრის შემდეგ ჩემპიონმა ძლივს ამოისუნთქა, მაგრამ ლამაზი გამარჯვების დარდი მას აღარ ჰქონდა. 5-ქულიანი სხვაობა (82:77) საკმარისი იყო გამარჯვებისთვის და ფავორიტიც უზბეკებთან მატჩში ამ მცირედს დასჯერდა. მეორე დღეს კი უკრაინელები გამძაფრებით იბრძოდნენ... ყირგიზეთის გუნდის წინააღმდეგ, რომელმაც ამჯერადაც საკმაოდ ბასრი კლანჭები გამოაჩინა. გამარჯვებული კოლექტივი (უკრაინელებმა ეს შეხვედრა მოიგეს — 71:50) ბევრი მონაცემით სჯობდა თავის „უმცროს" მეტოქეს. ანგარიშგასაწევია ჯერ მარტო ის, რომ ჩემპიონს ამ სპარტაკიადაში ყველაზე ტანმაღალი შემადგენლობა ჰყავს (საშუალო სიმაღლე — 197,5 სმ), ყირგიზეთის გუნდი კი თავისი 188,8 სანტიმეტრით ერთ-ერთ „უმდაბლეს" კოლექტივად ითვლება. უკრაინელთა სასარგებლოდ სხვა საკალათბურთო ფაქტორებიც მეტყველებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერ გამოავლინა (32:32). ბრძოლა მეორე ნახევარშიც დიდხანს თანაბარი და გაურკვეველი იყო...

თუმცა ჯერ ადრეა ჯგუფური ტურნირების საბოლოო შედეგებზე ლაპარაკი, მაგრამ საქართველოს ქალთა გუნდის მდგომარეობამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. ლატვიელებთან მარცხი ჩვენ ასე თუ ისე გადავიტანეთ, მაგრამ ყაზახეთის კალათბურთელებთან წაგებამ (60:71) მდგომარეობა ერთი-ორად გააუარესა. ახლა ბევრი რამ საკალათბურთო არითმეტიკაზეა დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ მეორე ტურში ესტონელებმა ყაზახეთის გუნდი დაამარცხეს — 67:50.

ფინალში გასასვლელად ჩვენებმა, პირველ ყოვლისა, უნდა დაამარცხონ ესტონელები (ეს შეხვედრა 12 ივლისს გაიმართება) და, რა თქმა უნდა, სომხებიც. ესტონელებმა, თავის მხრივ, ერთი ბრძოლა კიდევ უნდა დათმონ ლატვიელებთან (ეს ალბათ ასეც მოხდება) და მაშინ საქართველოს, ესტონეთისა და ყაზახეთის გუნდებს შორის (საფიქრებელია, რომ ლატვიის გუნდთან ეს უკანასკნელიც დამარცხდება) მეორე ფინალისტის საკითხს არითმეტიკული სხვაობა გადაწყვეტს.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 137
(4387)

1971 წ.
11 ივლისი.
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

[illegible]

საქართველოს მძლეოსნები კისლოვოდსკში გამართული შეჯიბრების შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დედაქალაქს ეწვივნენ და დიდ სტარტამდე იქ ვარჯიშობენ, ზოგიერთმა მოსწავლემ კი მოსკოვის მოზარდთა პირველობაშიც სცადა ძალა და წარმატებითაც. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ სიმაღლეზე მხტომელები. ჭაბუკებში თბილისელმა გ. პრესნოვმა 2 მ გადალახა და I ადგილი დაიკავა. გოგონებში ყველას აჯობა ქალთა შორის საქართველოს რეკორდსმენმა მ. ალიაკრინსკაიამ (მწვრთნელი გ. მიროტაძე), რომელმაც 174 სმ სიმაღლე დაძლია. ეს შედეგი 3 სმ-ით სჯობს მისსავე აბსოლუტურ რესპუბლიკურ რეკორდს.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გუშინ დამთავრდა საქართველოსა და კრასნოდარის მხარის მოსწავლე მძლეოსანთა გუნდების მატჩი. თბილისის 23-ე სკოლის მეცხრეკლასელმა გოგონამ ნ. ვლადიმერაშვილმა (ისიც მიროტაძესთან ვარჯიშობს) 165 სმ სიმაღლე გადალახა. ეს საშუალო ასაკის გოგონათა რესპუბლიკური რეკორდია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავი აღინიშნოს 1971 წლის 30 სექტემბერს-3 ოქტომბერს.

შეიქმნა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ჭანუყვაძე.

(საქინფორმი).

პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ფიშერი — ლარსენი 2:0

II პარტია

ლარსენი — ფიშერი

1. c4 c5 2. მf3 g6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. e4 მf6 6. მc3 d6 7. კe2 მ:d4 8. ლ:d4 კg7 9. კg5 h6 10. კe3 0—0 11. ლd2 მფh7 12. 0—0 კe6 13. f4 ეc8 14. b3 ლa5 15. a3 a6 16. f5 კd7 17. b4 ლe5 18. ეae1 კc6 19. კf4 მ:e4 20. მ:e4 ლ:e4 21. კd3 ლd4+ 22. მფh1 ეce8 23. კe3 ლc3 24. კ:h6 ლ:d2 25. კ:d2 კe5 26. კf4 კ:f4 27. ე:f4 gf 28. ე:f5 მფg7 29. ეg5+ მფh6 30. h4 e6 31. ეf1 f5 32. ეb1 ეf7 33. b5 ab 34. cb კd7 35. g4 ეa8 36. gf ef 37. კc4 ეa4 38. ეc1 კ:b5 39. კ:f7 ე:h4+ 40. მფg2 მფ:g5 41. კd5 კa6 42. ეd1 ეa4 43. კf3 ე:a3 44. ე:d6 ეa2+ 45. მფg1 მფf4 46. კg2 ეb2 47. ეd7 b6 48. ეd8 კe2 49. კh3 კg4 50. კf1 კf3 51. ეb8 კe4 52. კa6 მფe3 53. ეc8 ეb1+ 54. მფh2 მფf4. ლარსენი დანებდა.

მეტოქეებმა ბრძოლა დაიწყეს ინგლისური დაცვისთვის დამახასიათებელი სვლებით, მაგრამ მალე სიცილიური დაცვის ერთ-ერთი აქტუალური პოზიცია შეიქმნა. ლარსენს იერიშის შესაძლებლობა მიეცა, მით უმეტეს, როცა ფიშერის ლაზიერი ცენტრში აღმოჩნდა თეთრი ფიგურებით გარშემორტყმული. მე-18 სვლაზე ლარსენმა მეტოქეს პაიკი შესთავაზა. ფიშერმა ერთი სვლის დაგვიანებით აიყვანა იგი, მაგრამ მალე უკან დააბრუნა და თანაბარ ენდშპილში გადავიდა.

ლარსენი ბევრს ფიქრობდა, — მოგებისკენ მიმავალ გზას ეძებდა და ცაიტნოტშიც აღმოჩნდა. 37-ე სვლაზე იგი შეცდა: ფიშერის ტაქტიკური თავდასხმა გამორჩა და ორი პაიკი წააგო. პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დანიელმა დიდოსტატმა ბრძოლა მაინც განაგრძო.

დენვერიდან იტყობინებიან, რომ ლარსენს შეეძლო პარტია გადაედო, მაგრამ თამაში ამჯობინა: არ სურდა, რომ ფიშერს კაბინეტურ მყუდროებაში გაეანალიზებინა პოზიცია, — იქნებ, თამაშში რაიმე გამორჩესო. მაგრამ ლარსენს იმედი გაუცრუვდა: ფიშერმა საშამათო ქსელში გაება მისი გვირგვინოსანი.

მხოლოდ ორი...

ვლადიმირი (ჩვენი სპეც. კორ.). ოფიცერთა სახლში მიმდინარეობს სსრ კავშირის ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი. 14 მონაწილიდან მხოლოდ ორი მიიღებს ფინალში თამაშის უფლებას. ეს მეტისმეტად ამწვავებს ბრძოლას.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ვეტერანებს — საერთაშორისო ოსტატებს ვ. ბორისენკოს (ტაშკენტი) და ო. იგნატიევას (მოსკოვი) გაუჭირდებოდათ ახალგაზრდებთან ბრძოლა. ისინი მარცხს მარცხზე განიცდიან.

ტურნირის პირველი ნახევრის შემდეგ მონაწილეთა დიდი ჯგუფი ინარჩუნებს ორი საგზურისთვის ბრძოლის შანსებს. 7 ტურის შემდეგ 6 ქულით წინაა საერთაშორისო ოსტატი ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), რომელიც დაუმარცხებლად იბრძვის. 5,5 ქულა აქვს ოსტატ ლ. სემიონოვას (კიევი), 5 — ოსტატობის კანდიდატ ტ. მოროზოვას (ლვოვი), 4,5-4,5 ქულა — ოსტატ ც. კობაიძესა (თბილისი) და ოსტატობის კანდიდატ მ. სამუელს (ტალინი).

ც. კობაიძემ ოთხი პარტია მოიგო (ო. იგნატიევასთან, ვ. კაუშილაიტესთან, ტ. ფომინასთან და მ. სამუელთან), ერთი ყაიმით დაამთავრა ლ. კალაშნიკოვასთან, და ორი წააგო (ნ. მედიანიკოვასთან და ლ. სემიონოვასთან). იგი ინარჩუნებს ფინალში გასვლის შანსს.

წარუმატებლად გამოდის ლ. კოროშინაძე (1,5 ქულა 7 შეხვედრიდან). იგი აშკარად გადაიღალა და ხშირად უშვებს შეცდომებს.

ნახევარფინალის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

ახალი ამბები — 71

● **ალმა-ათა**, 9 ივლისი. ადგილობრივი უმაღლესი საერთოსაჯარისო სამეთაურო სასწავლებლის 50 კურსანტმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დაიპყრო ალათაუს ქედის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი იუბილეინი. ეს ლაშქრობა სამხედრო მთამსვლელებმა ყაზახეთის კომკავშირის 50 წლისთავის იუბილეს მიუძღვნეს.

● **ბაქო**, 9 ივლისი. აზერბაიჯანის მოცურავეთა აქ დამთავრებულ ჩემპიონატში, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შესარჩევი შეჯიბრებაც იყო, საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შვიდჯერ ავიდნენ 16 წლის ტყუპები ვიქტორია და ვადიმ სოროკინები. ვიქტორიამ ხუთ დისტანციაზე გაიმარჯვა, თანაც, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში რესპუბლიკური რეკორდები გააუმჯობესა. უნდა აღინიშნოს, რომ ორ წელიწადში ნორჩმა მოცურავემ აზერბაიჯანის 7 რეკორდი განაახლა „უფროსებისთვის". ასევე დაამხო მოზრდილთა რეკორდი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვიქტორიას ძმამ ვადიმმა, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ტყუპებმა წლეულს დაამთავრეს რვაწლედი, ცურვას კი 10 წლის ასაკიდან მისდევენ და აი, რესპუბლიკური ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

● **რომი**, 9 ივლისი. „ფორო ოლიმპიკოს" სტადიონზე გათამაშდა იტალიის მძლეოსანთა ჩემპიონატი. 22 წლის ახოვანმა, გრძელფეხებიანმა სპორტსმენმა მარჩელო ფიასკონარომ 400 მეტრზე რბენაში გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი (45,7), რომელიც 1965 წლიდან ეკუთვნოდა ს. ოტოლინეს (46,2). ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში. მარჩელო მამას გაჰყვა უცხოეთში სამოვარზე და ჩემპიონატამდე სულ 10 დღის წინ დაბრუნდა სამშობლოში. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს მორბენალი კარგი აღმოჩენაა იტალიის ოლიმპიური გუნდისთვის.

● **ვარშავა**, 9 ივლისი. ადგილობრივი „ხკრის" სტადიონის ტარტანის ბილიკზე დ. ვერჟბოვსკამ 800 მ 2 წუთსა და 3,2 წამში გაირბინა, რაც ნახევარი წამით სჯობს პოლონეთის ძველ რეკორდს. ეს შედეგი მეხუთეა წლეულს მსოფლიოში.

● **მოსკოვი**, 9 ივლისი. სსრ კავშირისა და გდრ-ის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩის მონაწილეებს დღეს აქ გადაუღებელი კოკისპირული წვიმა დაესწროთ — შეჯიბრება ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა „ჩაიკის" აუზში. სტუმრებმა ორმაგი გამარჯვება მოიპოვეს: კოშკიდან ხტომაში საუკეთესო იყო ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ს. ფიდლერი (349,00 ქულა), ხოლო ტრამპლინზე ასპარეზობაში — ჰ. ციტენი (507,75). თუ ფიდლერმა იოლად გაუსწრო მეხიკას ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს, მოსკოველ ნ. კუზნეცოვას (313,20), ვაჟთა ასპარეზობა ტრამპლინზე მეათე ნახტომამდე სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, მოსკოველი ვ. ვასინის უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ ვასინმა სწორედ ბოლო ნახტომი ვერ შეასრულა საკმარისად ზუსტად და საბოლოოდ II ადგილს დასჯერდა — 495,60. პროგრამის ორივე სახეობაში III ადგილები გერმანელებს ხვდათ. ესენი არიან: მ. დანე (კოშკი — 286,45) და ფ. ჰოფმანი (493,04).

● **შტუტგარტი**, 9 ივლისი. გფრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატში მოასპარეზე უ. ბაიერმა 74,90 მეტრზე ტყორცნა ურო, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოში და მეორე — საერთოდ მძლეოსნობის ისტორიაში. ამ 26 წლის ათლეტის, ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის შედეგზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენს, კიეველ ა. ბონდარჩუკს აქვს. მან შარშანწინ შემოდგომაზე როვნოში 75,48 მეტრზე ტყორცნა ურო და ახლა ამ შედეგის მსოფლიო რეკორდად დამტკიცებას ელის.

● **კიევი**, 9 ივლისი. ომსკელმა სტუდენტმა ე. შეიკინმა აქ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში. მან მაღალ შედეგებს მიაღწია გასამხედროებული კროსის ტრასაზე, ავტომობილის ფიგურულ მართვასა და 100 მეტრზე ცურვაში — საბოლოოდ 265 ქულა დააგროვა. არანაკლებ დამაჯერებელია სარატოველი ზეინკლის ა. ავერიანოვის გამარჯვება იუნიორთა შორის. მრავალჭიდის სამი სახეობის ჯამში მას 272 ქულა დაუგროვდა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს რუსეთის ფედერაციის დოსააფის წარმომადგენლებმა — 1020 ქულა.

რასაც ხალასი ოცნება ჰქვია

რად უყვარს ქართველ კაცს ჭიდაობა? რად ეტრფის ამ ვაჟკაცურ, რაინდულ სანახაობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დიდი ისტორიული ექსკურსის გაკეთება დაგვჭირდებოდა. თუმცა, ამჯერად ეს ჩვენს მიზანს არც შეადგენს.

ამ წერილის დაწერა მაფიქრებინა ერთმა უპრეტენზიო ნახატმა, რომელიც საქართველოს მხატვართა საიუბილეო გამოფენაზე ვნახე. არ შეიძლება ხელოვნების მოყვარულმა კაცმა ეს სურათი არ გამოარჩიოს ნაცრისფერ კედლებზე. და უფრო იმიტომ, რომ ქართველ კაცს უყვარს ჭიდაობა.

მხატვრული ასოციაცია არასოდეს არ არის კონკრეტული. ისეთივე, როგორც ლექსი, სიმფონია. როგორ გესახება, ჩვენო მკითხველო, მაგალითად, საჭიდაო მოედანი, ფალავნები, ბევრი მეზურნეები, მაყურებელთა ლაშქარი? დარწმუნებული ვართ, თითოეულ ჩვენგანს ეს წმინდა ქართული სანახაობა გონების თვალით განსხვავებულად წარმოუდგება. იმიტომ, რომ ჭიდაობას განსხვავებული ატმოსფერო მოხავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში... მაგრამ ერთი რამ ყველა კუთხისთვის არის დამახასიათებელი: ჭიდაობის უანგარო, თანდაყოლილი სიყვარული.

ნ. იგნატოვის სურათში სიყვარულით შეუკრავთ წრე საჭიდაო მოედნის ირგვლივ ახალგაზრდებს და ხანდაზმულებს. ეს ჭიდაობაა — ქართველი კაცის საყვარელი სანახაობა და ამიტომაც არავინაა გულგრილი. წრეში ჩამდგარა ორი ნორჩი ფალავანი. მათს ჭიდილს ჯერ კიდევ ჭიდაობა ვერ დაერქმის, — ისინი უფრო ძიძგილაობენ. მკვრივი, მაგრამ ბავშვურად ხუსტი კუნთები; სამაგიეროდ, დიდი მონდომება, დიდი შემართება, ჭიდაობის დიდი სიყვარული. იგნატოვის ნახატს ჩვენ უნებურად გადავყავართ ბავშვობის რომანტიკულ დროში. გვაგონდება მზიანი, მწვანე, ხასხასა მინდორი, მდინარეში ბანაობა, დაუსრულებელი სირბილი ტყის ბილიკებზე, წყალში კენჭების სროლა, და, რა თქმა უნდა, ინსტინქტური ჭიდილი ტოლ-ამხანაგებთან ძალისა და სიმკვირცხლის გამოსაცდელად. და შემდეგ დიდი მწვანე ველი, დოლ-ზურნა, გამოცდა უფროსი მოჭიდავეების თვალწინ, კისრული და სარმა, ბალახზე დაცემით დამწვარი ბეჭები...



ყოველივე ეს იგრძნობა სურათშიც და სურათის მიღმაც, რასაც უკვე ოცნების თვალით ხედავ. და რა ხდება? ნახატზე. თითქოს მოჭიდავეები მოჭიდავეებს არ ჰგვანან, მეზურნეებიც მევიოლინეებს შეუცვლიათ. მაყურებლებიც ძალზე ელეგანტურად, „ქალაქურად" არიან გამოწყობილი... მაგრამ მხატვრის გემოვნება და ფიქრი ისე ცხადად გადმოგვცემა, რომ მაქსიმალურად აღიქვამ სანახაობას, რომელსაც ქართველი კაცი უხსოვარი დროიდან ჭიდაობას ეძახის.

ჭიდაობას რა უნდა? „ფეხის გამოკვრის გარდა" ხელოვანის დიდი გული, მისი ცოდნა ადრეული სიყრმიდან მოწიფულ ასაკამდე და კიდევ ის, რასაც ხალასი ოცნება ჰქვია.

ა. გოგელია.

მუშკეტერები დ'არტანიანის სამშობლოდან

მოულოდნელი იყო საბჭოთა რაპირისტი ვაჟების მარცხი ვენის მსოფლიო ჩემპიონატში. თავად განსაჯეთ: როცა საბჭოთა საფარიკაო სკოლის მოწინავე ტრადიციებზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა რაპირისტებს იხსენიებენ, ვინაიდან სწორედ ამ სახეობის წარმომადგენლებმა მიაღწიეს ყველაზე მეტ წარმატებას მსოფლიო სარბიელზე. რა თქმა უნდა, III ადგილი, რომელიც ვენის ტურნირში 9 ივლისს დაიკავა სსრ კავშირის რაპირისტ ვაჟთა გუნდმა, არც ისე საძრახისია, მაგრამ, ვიმეორებთ, რაპირას საბჭოთა ქვეყანაში დიდი ტრადიციები აქვს და ახლაც ოქროს ველოდით.

I ადგილი დაიკავეს ფრანგებმა. უნდა ითქვას, რომ წლევანდელ მსოფლიო პირველობაში საასპარეზოდ მათ ძლიერი გუნდი გამოიყვანეს. აბა, წარმოიდგინეთ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან ცნობილი მუშკეტერები მანიანი, ნოელი, რევენიუ, ტალვარი.., განა ყოველგვარი სიურპრიზი მოსალოდნელი არ არის? ერთი სიტყვით, ფრანგებმა სავსებით დამსახურებულად მოიხვეჭეს ჩემპიონის სახელი — ფინალში სძლიეს პოლონელებს — 9:7.

II ადგილზე დარჩა პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც თავისი ლიდერის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის რ. პარულსკის გარეშე გამოდიოდა.

ჩემპიონატის „დუელში" რაპირისტი ქალებიც ჩაებნენ. როგორც ცნობილი გახდა, უსენსაციოდ არც ქალთა შესარჩევმა ტურნირმა ჩაიარა: მეხიკოს ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი ე. ბელოვა ყველასთვის მოულოდნელად გამოეთიშა შეჯიბრებას. ახლა ოქროს მედლისთვის ბრძოლას ორი საბჭოთა სპორტსმენი აგრძელებს. ესენი არიან შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი გ. გოროხოვა და ტალინელი ს. ჩირკოვა.

[illegible]

სამტრედია

დოსააფის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრებები ავტო-მოტოსპორტში, ტყვიის სროლაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და კარტინგებით რბოლაში. გაიმარჯვა დოსააფის ნაკრებმა გუნდმა.

ა. ჩაჩავა.

II ლიგა IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (რუსთავი)	15	8	6	1	22—6	22
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	15	7	6	2	25—10	20
„მეშახტე" (ტყიბული)	17	8	3	6	22—23	19
„მერცხალი" (მახარაძე)	15	5	8	2	14—12	18
„ტრუდი" (ვორონეჟი)	18	5	8	5	20—19	18
„სატურნი" (რიბინსკი)	16	8	2	6	19—18	18
„მოტორი" (ვლადიმირი)	15	5	7	3	13—6	17
„სპარტაკი" (კოსტრომა)	16	4	9	3	18—14	17
„დინამო" (ბათუმი)	17	5	7	5	13—14	17
„კოლხეთი" (ფოთი)	16	5	7	4	12—13	17
„დილა" (გორი)	16	4	8	4	23—22	16
„დინამო" (სოხუმი)	17	5	6	6	20—20	16
„ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი)	15	4	7	4	12—14	15
„დინამო" (ვოლოგდა)	15	5	5	5	8—15	15
„ხიმმაშოვეცი" (პენზა)	15	5	4	6	11—12	14
„სპარტაკი" (სარანსკი)	16	5	3	8	9—15	13
„სპარტაკი" (ტამბოვი)	15	4	3	8	8—13	11
„სპარტაკი" (რიაზანი)	15	3	5	7	10—17	11
„მაშინოსტროიტელი" (პოდ.)	15	3	5	7	14—22	11
„დინამო" (კიროვი)	15	2	5	8	9—17	9

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

ქულა „კარპატისთან"

ლვოვი. სტადიონი „დრუჟბა". 9 ივლისი.

„კარპატი" (ლვოვი) — „დინამო" (თბილისი) 2:2 (1:1).

„კარპატი": ვაიდა, დანილჩუკი, სოროკა, სავკა, რეშკო, ბროვარსკი, შულიატიცკი, კულჩიცკი, გრეშჩაკი, გაბოვდა (დანილიუკი), ხიჟაკი.

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე (კუტივაძე), პეტრიაშვილი, მაჩაიძე, გავაშელი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დებიუტანტთან თამაში მის მინდორზე მუდამ ძნელია. ეს კარგადაა ცნობილი ფეხბურთში, მაგრამ „კარპატი" წლეულს შინ განსაკუთრებული სიძლიერით თამაშობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ იმ 5 მოგებიდან, რომლებიც სადღეისოდ აქვს ამ გუნდს, ყველა ლვოვშია მოპოვებული. ამასთან, მასპინძლები აქ, როგორც წესი, დამაჯერებელი ანგარიშით იმარჯვებენ. ნათქვამს დავუმატებთ იმასაც, რომ ის ერთადერთი წაგება, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში კიევის „დინამოს" აქვს განცდილი, ლიდერმა სწორედ ლვოვში იწვნია.

ამიტომ გასაგებია ის სიძნელე, რომელიც თბილისის „დინამოს" წინაშე იდგა 9 ივლისის მატჩში. პროგნოზებზე არ ვილაპარაკებთ, მაგრამ თამაშის დასაწყისმა მართლაც დიდი სირთულეები შეუქმნა დინამოელებს: მე-11 წუთზე გრეშჩაკმა საჯარიმო მოედნის გარედან ძლიერად დაარტყა კარში და ურუშაძე იძულებული იყო გამოეტანა ბურთი ბადიდან.

ამ გოლის გაქვითვას თბილისელები საკმაო ხანს მოუნდნენ და რამდენიმე ძლიერი შეტევის შემდეგ ლ. ნოდიამ 38-ე წუთზე თავისი ინდივიდუალური გარღვევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა — 1:1.

სტუმრებს დაწინაურება შეეძლოთ შესვენების შემდეგ, როცა ვაიდამ ძალიან ძნელი ბურთი აიღო იმავე ლ. ნოდიასგან. მერე მდგომარეობა გათანაბრდა და „კარპატის" ერთ-ერთი იერიშის შემდეგ დინამოელთა კარი მეორედ იქნა აღებული და თითქმის იმავე ვითარებაში: შულიატიცკიმ შორიდან დაარტყა, ბურთი მოხვდა თბილისელთა ერთ-ერთ მცველს, მიმართულება შეიცვალა, რის შემდეგ ბადეში აღმოჩნდა.

65-ე წუთზე ანგარიში კვლავ გათანაბრდა. გ. ნოდიას ძლიერი დარტყმის შემდეგ ვაიდამ ბურთი კუთხურზე მოიგერია. თბილისელებმა კარგად გაითამაშეს იგი, კუტივაძე კარის პირისპირ აღმოჩნდა და ზუსტად, შეუჩერებლად დაარტყა მიზანში. ვაიდა უძლური იყო რამე მოემოქმედა — 2:2.

გ. ვორონა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

მატჩები, გოლები, ფაქტები

9 ივლისის ტური უმეტესი გუნდისთვის ჩემპიონატის პირველი წრის დასასრულს წარმოადგენდა. ამ გარემოებამ გარკვეული დაღი დაამჩნია განვლილ მატჩებს.

კიევის დინამოელებმა საკუთარ მინდორზე განიმტკიცეს ლიდერობა და დაამარცხეს როსტოვის არმიელთა გუნდი ისე, რომ სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი იმედი არ დარჩენიათ — 4:0. ბურთები გაიტანეს კოლოტოვმა, ვერემეევმა, ხმელნიცკიმ და ბოგოვიკმა.

დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შინ „ზენიტმა", რომელიც „ნეფთჩის" მასპინძლობდა — 4:2. ბაქოელებმა ბანიშევსკიმ და შევჩენკომ თავიანთი „ტრადიციული" 2 ბურთი გაიტანეს, მაგრამ „ნეფთჩის" დაცვამ ვერ გაუძლო მასპინძელთა გამუდმებულ იერიშებს და 4 ბურთი გაუშვა — სადირინი (2), ტრემბაჩი, ხრომჩენკოვი.

ვოროშილოვგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზარია" და „ფახთაქორი". მასპინძლებმა დამაჯერებლად ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც — 3:1. 2 ბურთის ავტორი იყო სემიონოვი, ერთისა — ბელოუსოვი. ტაშკენტელთა მხრივ გოლი გაიტანა ისაკოვმა.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი დონეცკში „შახტიორსა" და „ყაირათს" შორის. პროკოპენკოს ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „შახტიორს" — 2:1. ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორია დოლმატოვი.

კიდევ ერთხელ გამოიჩინეს თავი ერევნელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოსკოვში შეუპოვარი ბრძოლა გაუმართეს დედაქალაქის დინამოელებს და დაამარცხეს კიდეც ისინი — 1:0. გადამწყვეტი გოლი „დინამოს" კარში გაიტანა არარატელმა იშტოიანმა 83-ე წუთზე.

უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს მოსკოველი ვ. ანიჩკინი და ერევნელი რ. ავანესიანი.

ცსკა-სა და მინსკის „დინამოს" გუშინდელი მატჩით დაიწყო ჩემპიონატის მეორე წრე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	15	9	5	1	21—6	23
„არარატი" (ერევანი)	15	8	5	2	20—9	21
„დინამო" (მოსკოვი)	15	6	7	2	14—7	19
„ნეფთჩი" (ბაქო)	15	6	5	4	23—17	17
„კარპატი" (ლვოვი)	15	5	6	4	20—19	16
„დინამო" (თბილისი)	14	6	4	4	12—14	16
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	15	5	5	5	18—13	15
„ყაირათი" (ალმა-ათა)	15	5	5	5	20—22	15
ცსკა	15	4	6	5	14—15	14
„ტორპედო" (მოსკოვი)	14	1	10	3	5—7	12
„დინამო" (მინსკი)	15	2	8	5	17—20	12
„სპარტაკი" (მოსკოვი)	14	2	8	4	12—15	12
„ზენიტი" (ლენინგრადი)	15	3	6	6	13—18	12
„შახტიორი" (დონეცკი)	14	5	1	8	11—14	11
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	15	2	7	6	11—23	11
სკა (დონის როსტოვი)	15	3	4	8	12—24	10

ცვლილებები კალენდარში

შეიცვალა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის ჩატარების თარიღი: „კარპატი" და მოსკოვის „დინამო" 8 აგვისტოს ნაცვლად ითამაშებენ 24 ივლისს, „შახტიორი" და მოსკოვის „დინამო"—23 აგვისტოს ნაცვლად 22 აგვისტოს, კიევის „დინამო" და მოსკოვის „დინამო" — 28 აგვისტოს ნაცვლად 30 აგვისტოს, „ზარია" და კიევის „დინამო" — 2 სექტემბრის ნაცვლად 10 სექტემბერს, მოსკოვის „დინამო" და „ფახთაქორი" — 29 ივლისის ნაცვლად 27 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე [illegible]

გამარჯვება ჩილეში

საღამოს, ბინდი რომ ჩამოწვა, აეროპორტისკენ დავიძარით. ახალი ფრენა გველოდა, ოღონდ უფრო ხანმოკლე, იოლი — ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის, კორდილიერების გავლით.

საჰაერო ლაინერი უზარმაზარი, შუქებით გაჩირაღდნებული ქალაქის თავზე მაღლდება და ჩვენ უკანასკნელად ვხედავთ, როგორ ვერცხლისფრად ბზინავს ღამის სიბნელეში წყალუხვი ლაპლატა. თავდაპირველად ვრცელი ველის თავზე მივფრინავთ, მერე უფრო მაღლა ავდივართ და კორდილიერების დათოვლილ ქედებს ქვევით ვტოვებთ. ისინი სავსე მთვარის ცისფერი შუქით არიან განათებული. თეთრ-ცისფერი მთების ეს დიდებული და ერთგვარად იდუმალი სურათი რერიხის ნახატებს აგონებს კაცს და მგზავრებიც ილუმინატორებს აჰკვრიან.

სანტ-იაგოს ჩირაღდნები რაღაც უეცრად ამოიზიდა თვალწინ. როცა ჩილის მიწაზე დავეშვით, შუაღამე გადასული იყო, მოსკოვში კი ალბათ ცას ალიონი ეპარებოდა. სხვაობა შვიდ საათს შეადგენდა.

მეორე დილით ვნახეთ „ესტადო ნასიონალი", სწორედ ის სტადიონი, სადაც 1962 წლის ივნისში ოქროს ქალღმერთის თასის გადამწყვეტი მატჩები ჩატარდა. სარბიელი ჯერ მზად არ იყო, — ტრიბუნების ზედა დამატებით იარუსებს აკეთებდნენ. გაისმოდა პნევმატური უროების გუგუნი, დროდადრო ელექტროშემდუღებელი ყრიდა ნაპერწკლებს. ეს ყველაზე დიდი სტადიონი იყო სანტ-იაგოში. სწორედ აქ უნდა გამართულიყო სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მატჩი ჩილის ეროვნულ გუნდთან.

ქალაქი ამ ამბით ცხოვრობდა. გაზეთები სავსე იყო ცნობებით არგენტინაში ჩვენი გამარჯვების შესახებ. მაღაზიის ვიტრინებთან უამრავი ხალხი იყრიდა თავს და ბუენოს-აირესიდან მიღებულ ფოტოსურათებს ათვალიერებდა. აქ იყო თამაშის მომენტები, იაშინის, მესხის, მეტრეველისა და სხვების სურათები...

ათასობით გულშემატკივარი მოდიოდა „ესტადიო ნასიონალზე", რათა დილით ჩვენი ფეხბურთელების მოთელვას დასწრებოდა, საღამოს კი მათი საწვრთნელი ვარჯიში ენახა.

პრესამ ფერადები არ დაიშურა არგენტინაში ჩვენი გამარჯვების ლამაზად საამბობლად. ამიტომ ამ მატჩის გმირების სახელები ყველა ფეხბურთის მოყვარულს პირზე ეკერა. ჩვენს ფეხბურთელებს ცნობდნენ ქუჩაში, კინოში. სასტუმრო „კორეროსთან" გამუდმებით მორიგეობდნენ ცნობისმოყვარენი.

ჩილის პრესა პროგნოზებისგან თავს იკავებდა, მაგრამ საკმაოდ ჯიუტად წერდა, რომ მათი ფეხბურთი არ არის სუსტი, როგორც ამას შეცდომით ფიქრობენ. საბუთად მოჰყავდათ გამარჯვება მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან — გფრ-ის ფეხბურთელებთან, და ფრე ბრაზილიელებთან.

თუმცა ჩვენ ისედაც დავრწმუნდით ჩილიური ფეხბურთის მაღალ კონდიციებში.

მატჩის წინ დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა. ხუმრობა ხომ არ იყო, სანტ-იაგოში ჩავიდა გუნდი, რომელმაც დაამარცხა თვით არგენტინელები — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები. აი, რატომ მოუმატეს ბილეთებს ფასი. მაგრამ, რაკი დიდი მატჩების დღეებში განსაკუთრებულ ნიჭს იჩენენ ყალბი ბილეთების ოსტატები, გადაწყდა, რომ სალაროები მხოლოდ შეხვედრის დღეს გაეღოთ. მთელ დღეს უზარმაზარი რიგი იდგა. ამ დროს ქუჩაში შემთხვევით გავლილმა ჩილის პრეზიდენტმა ხორხე ალესანდრი როდრიგესმა შენიშნა მღელვარება რიგში და დაინტერესდა. მას რეზონულად უპასუხეს, რომ აქ იყიდება ფეხბურთის ბილეთები და ამიტომ სიმშვიდეც არ შეიძლება იყოს.

რაღა სათქმელია, რომ სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ზედა იარუსები ჯერ დამთავრებული არ იყო, მაგრამ ხალხს იქაც მოეძებნა ადგილი.

ღამის თერთმეტის ნახევარზე სანტ-იაგოს მცხოვრებნი მატჩის სანახავად მოვიდნენ. მოსკოვში ამ დროს ალბათ თენდებოდა. მთელი სტადიონი გადავიარეთ, რათა ჩვენთვის გამოყოფილ ადგილებზე დავმსხდარიყავით. სხვა სტადიონებისგან განსხვავებით, აქ არც თხრილებია, არც ეკლიანი მავთულხლართები. სამაგიეროდ, გვერდითი ხაზების გასწვრივ 10 მეტრის დაშორებით პოლიციელები დგანან და ჯაჭვით უზარმაზარი ნაგაზები უჭირავთ. ძაღლები სრულ წესრიგს უზრუნველყოფენ. ამაში მყისვე დარწმუნდები, როგორც კი მათ მოუსვენარ თვალებს და ალესილ კბილებს შეხედავ. საინტერესოა, რომ ნაგაზები იოტისოდენა ყურადღებას არ აქცევენ არც ბურთს, რომელიც ხშირად გადასცდება ხოლმე მინდვრის საზღვრებს, არც ფეხბურთელების სირბილს. ისინი მხოლოდ მაყურებლებს სდარაჯობენ.

მატჩის დაწყების წინ სანიტრებმა სარბენ ბილიკზე საკაცით შემოიყვანეს საავადმყოფოდან საგანგებოდ მატჩის სანახავად გამოსული კაცი. იგი თეთრ ლოგინში იწვა, თეთრი საბანი ეხურა და განძრევაც არ შეეძლო, დამბლადაცემული იყო. შემდეგ გამოჩნდა ხეიბრების დიდი ჯგუფი თავიანთი ეტლებით. მათ შექმნეს ტრიბუნების პირველი რიგი.

აი, გამოდის მსაჯი ხუან კარლოს არმონტალი და გუნდები მინდორზე გამორბიან. რადიოთი მეტოქეთა შემადგენლობას გადასცემენ. მესხის, მეტრეველისა და პონედელნიკის გვარებს ტაშით ხვდებიან. ჩვენს ნაკრებში ამჯერად არ გამოდიან იაშინი, ნეტო და გუსაროვი. ტაში გაისმის ყველა ჩილიელი ფეხბურთელის დასახელებაზე.

ფეხბურთი სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყანაში თითქმის ერთნაირია. მას მყისვე გამოარჩევ ბურთის ფლობის მაღალი ტექნიკით.

და მაინც, ჩილიურ ფეხბურთს განსხვავებული თავისებურებები აქვს. იგი უფრო ევროპულს ჰგავს, რის გამოც უფრო სწრაფი და ლოგიკურია იერიშების ტაქტიკურ აგებაში. ეს ფეხბურთელებს ასწავლა მწვრთნელმა — ესპანელმა ფერნანდო რიერამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა ევროპის გუნდებში და კარგად აითვისა თანამედროვე ფეხბურთის პრინციპები.

მატჩის დაწყებისთანავე გაირკვა მოთამაშეთა განლაგება. ჩილიელები ანგარიშიან ტაქტიკოსს ტოროს (რომელსაც ისინი დიდის ეძახიან) შუა მინდვრისკენ წევენ. მაგრამ იგი მონაწილეობს იერიშებშიც, რაციონალურად ანაწილებს გადაცემებს, ცდილობს მოაგვაროს თამაში ცენტრში, სადაც ძალიან აქტიურობს ლანდა. იგი დინამიკური ფეხბურთელია, დიდი ძალა და გამოცდილება აქვს. როგორც ჩანს, ამ ლიდერზე შემთხვევით როდი ამყარებენ იმედს. ლანდა ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა.

ჩილის გუნდის ფორვარდები თამაშობენ საშუალო და გრძელი გადაცემებით, კარისკენ სწრაფად მიდიან, მწვავე სიტუაციებს ქმნიან. ამით ისინი გამოირჩევიან არგენტინელებისგან. ჩვენს დაცვას უდიდესი სიფრთხილისა და სიფხიზლის გამოჩენა დასჭირდა. რამდენიმეჯერ თამაშში გადაჭრით ჩაერია მასლაჩენკო.

მე ვხედავ, როგორ ელავს თეთრი ბურთი ჩილიელი ფორვარდების ფეხებში... სხვათა შორის, ჩილეში ჩვენი გუნდი პირველად თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის შერჩეული ბურთებით. ეს ბურთები იდეალურადაა შეკერილი და მსუბუქია. მათ „ფრენია ბურთები" შეარქვეს. ერთი ასეთი „ფრენია" მოსკოვში ჩავიტანეთ.

ჩილიელთა იერიში მრისხანე იყო. ჩვენმა დაცვამ სერიოზული გამოცდა ჩააბარა. უკან დაიხია ვორონინმა. იგი კარგად იყო შეთამაშებული მასლიონკინთან და ლანდა მიხვდა, რომ კარისკენ ლ. სანჩესის დახმარებით ვერ გააღწევდა. მაშინ მან ჩოხელისა და ოსტროვსკის რაიონში დაიწყო გზების ძიება, მაგრამ ვერც იქ პოვა თანაგრძნობა. ჩვენი განაპირა მცველები შესანიშნავად არჩევდნენ პოზიციას და ჩილიელებს არც სირბილში ჩამოუვარდებოდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ფორვარდებმა გეგმაზომიერი იერიშები ვერ განახორციელეს: მცველები ნავარო და რ. სანჩესი მათი კარგი ოპონენტები იყვნენ. ამასთან, ფლანგებისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ შესამჩნევად გაურთულა თამაში მეტრეველსა და მესხს.

საერთოდ, სანახაობრივად ეს მატჩი არგენტინაში გამართულ შეხვედრას არ ჰგავდა. სადღა იყო ის ლამაზი თამაში. აქ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დაცვითი ხაზის მოთამაშეები, რომელთაც კართან მაღალი, მტკიცე ზღუდეები ჰქონდათ აღმართული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩილიელთა შეტევების სიმძაფრე შესვენების შემდეგ ცოტა არ იყოს დაცხრა. ლანდა აშკარად აღარ ჰგავდა თავის თავს. ფორვარდები შეცდომებს უშვებდნენ, ალბათ უკვე ნებისყოფა ღალატობდათ. ამავე დროს აქტიურად დაიწყეს თამაში ჰუსაინოვმა, პონედელნიკმა, მამიკინმა, რომელმაც მეორე ტაიმში შეცვალა ივანოვი. ადგილიდან მკვეთრი ბიძგითა და თავისუფალ ადგილებზე გასვლით იგი საგონებელში აგდებდა გამოცდილ ჩილიელ დარაჯებს. კარგად თამაშობდა მანოშინი.

კვანძის გახსნა თანდათან მწიფდებოდა. ბოლოს ეს მომენტიც დადგა. მამიკინის დარტყმა შეუდარებელი იყო. მეკარე ესკუტი კარიდან გამოიჭრა, მაგრამ ბურთი ვერ მოიგერია. სტადიონი ცივად შეხვდა გოლს.

მასპინძლები კვლავ გადავიდნენ იერიშზე, დროდადრო ლამის კარის ხაზამდე მიდიოდნენ, მაგრამ საყაიმო ილუზია, რომელმაც მთელი გუნდი შეიპყრო, ენერგიის ახალ მოზღვავებას მოითხოვდა, ჩილიელებს კი სწორედ ეს აღარ შეეძლოთ. მათ უკვე უხეშად თამაში დაიწყეს, მაგრამ მსაჯს არმონტალს ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია.

მატჩი დამთავრდა. ჩვენი გუნდი ტრიბუნების ტაშის ხმაზე გადის მინდვრიდან. დაახლოებით ღამის პირველი საათისთვის ვტოვებთ სტადიონს. ქუჩებში სიწყნარეს დაუსადგურებია. სანტ-იაგოს მოსახლეობას უკვე სძინავს. მხოლოდ დაუცხრომელი გულშემატკივრები მიაბიჯებენ თავჩაქინდრულნი...

ჩვენ მივხვდით, რომ ჩილის ხელისუფლებამ, რომელმაც იცოდა რა დემონსტრაციები გაიმართა ბუენოს-აირესის ქუჩებში ჩვენი გუნდის სტადიონიდან დაბრუნების დროს, სანტ-იაგოში მატჩი იმ ანგარიშით დანიშნა, რომ შეხვედრა ღამის 12 საათის შემდეგ, ესე იგი მეორე დღეს დამთავრებულიყო.

საბჭოთა გუნდმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ჩილის ზღუდე გადალახული იყო. მეორე დღეს გაზეთები სავსე იყო ანშლაგებით: „სტუმრების ახალი ტრიუმფი", „ჩილიელები ბრწყინვალედ თამაშობდნენ", „საბჭოთა ფეხბურთი საერთაშორისოა".

ჟურნალისტები თავისებურად ინუგეშებდნენ თავს. ერთ-ერთი მათგანი წერდა: „უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ჩვენს წინააღმდეგ შესანიშნავი გუნდი თამაშობდა. ჩილიელთა დამსახურება ისაა, რომ ამჯერად საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება ისე მრავლისმეტყველი არ იყო, როგორც ბუენოს-აირესში".

უკან მივდივართ: კორდილიერების გავლით ატლანტის ოკეანისკენ, ლაპლატისკენ, ამჯერად უკვე მონტევიდეოში. წინაა შეხვედრა ურუგვაისთან. ბიჭებმა მშვენივრად იციან, რომ ყველაზე მძიმე საფეხბურთო ბრძოლა, ახლა ელით.

მ. მერჟანოვი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 132, 134, 135.

პირველი წრის მიჯნაზე

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ამას წინათ მოიწვია რესპუბლიკის პირველობის I და II ჯგუფებში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა, აგრეთვე, მსაჯთა თათბირი, რომელმაც შეაჯამა რესპუბლიკური ტურნირების პირველი წრის შედეგები.

მოხსენებით გამოვიდა სამმართველოს მასობრივი ფეხბურთის უფროსი მწვრთნელი უ. ფურცელაძე. ტექნიკური შედეგების შეჯამების შემდეგ მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების სტადიონებზე კალენდარული მატჩების დროს წესრიგი არ არის დაცული. ამის გამო თეთრი წყაროს სტადიონი დისკვალიფიცირებული იქნა სამი თამაშით, ხაშურისა — ორით, გაფრთხილება და მითითება მიეცათ გურჯაანის, სიღნაღის, ქობულეთის, აწყურის, ხობის, აბაშის, ფოთის, ვაზისუბნისა და სხვა სტადიონების დირექციებს.

იყო შემთხვევები, რომ შეხვედრები ჩაიშალა სხვადასხვა მიზეზით: მაგალითად, რუსთავში — ექიმის არყოფნის გამო, ხოლო თბილისის „შევარდენის" სტადიონის მინდორი არ იყო მომზადებული თამაშისთვის.

სულ პირველ წრეში ორივე ჯგუფში ჩატარდა 805 მატჩი, აქედან 645 — I ჯგუფში. კვლავ დიდი რაოდენობითაა ფიქსირებული მოთამაშეთა უდისციპლინობა, წესრიგის დარღვევის შემთხვევები. აღნიშნულ პერიოდში მსაჯების მიერ მინდვრიდან გაძევებულია 40 ფეხბურთელი, ხოლო გაფრთხილება მიეცა 104 ფეხბურთელს. გაძევებულთა შორის ვხვდებით გ. გასიევს, უ. ჯატიევს, თ. ძაგოევს, ი. ჩეხოევს, ი. გაბაევს („განთიადი", ცხინვალი), ს. გეგეჭკორს („ივერია", ხაშური), თ. ჯაშს („ვარკეთილი", გარდაბანი), ზ. დარჯანიას (ასკ, თბილისი), მ. ზაქარაიას („კოლხეთი", ხობი), გ. ყარალაშვილს („ცისკარი", სიღნაღი), მ. კაპანაძეს („მეტალურგი", ზესტაფონი), ვ. კახელაშვილს („მშენებელი", ბორჯომი), ვ. ქობულაძეს („კოლმეურნე", ჩხოროწყუ), ა. კვიტაიშვილს („ეგრისი", ცხაკაია), გ. ბეროშვილს („ალაზანი", გურჯაანი), ო. მოცვაძეს („ფეიქარი", წულუკიძე), ვ. გოგოტიშვილს („გიგანტი", ლაითური), თ. კვარაცხელიას („სქური", წალენჯიხა), ვ. გრძელიშვილს („სამცხე", აწყური), ვ. კაზიკინს („კოლმეურნე", ქედა), ნ. ფურცელაძეს („სალხინო", მაიაკოვსკი), გ. ლომიძეს (ფიზკულტურის ინსტიტუტი, თბილისი), ე. სილაგაძეს, ა. პაზიუკს („სინათლე", თბილისი) და სხვ.

სამმართველოში შემოსულია წერილები, რომ მთელ რიგ სტადიონებზე კეთილმოუწყობელია გასახდელები, საშხაპეები და მსაჯთა ოთახები, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სათამაშო მინდვრები (ასეა, მაგალითად, ზესტაფონში, ლაგოდეხში, გარდაბანში, წყალტუბოში, საჩხერეში, თეთრ წყაროში, გეგეჭკორში).

ჩემპიონატის მსვლელობისას გამოირკვა, რომ ყველა არბიტრი არ იყო მომზადებული სეზონისთვის, რამაც გამოიწვია ზოგიერთი მატჩის მსაჯობის დაბალი ხარისხი. ამიტომ საჭირო გახდა მათი დისკვალიფიკაცია. ასეთთა შორის ვხვდებით მ. ხუტაბას (სოხუმი), მ. ლაზიშვილს (ბათუმი), ი. ყაზარაშვილს (კასპი) და სხვ. ზოგიერთი მსაჯი გაურკვეველი მიზეზით არ გამოცხადდა დანიშნულების ადგილზე სამსაჯოდ და ისინიც გადაყენებული იქნენ: მ. სიჭინავა (გუდაუთა), ზ. კოღუაშვილი (გაგრა), ა. მურუსიძე (ფოთი), შ. ჩინოიანი (მახარაძე), გ. წერეთელი (ქობულეთი), ზ. გავაშელი (გურჯაანი); გაფრთხილება მიეცათ მ. ლოსაბერიძეს (ქუთაისი), გ. პოღოსიანს (სოხუმი), დ. ყურშუბაძეს (ქობულეთი), გ. ფურცელაძეს (გურჯაანი), ფ. სვანიძეს (თბილისი), ო. მარგიევს (ცხინვალი).



აღნიშნულ თათბირზე მწვრთნელებს უნდა წარმოედგინათ გუნდის წვრთნის წლიური სამუშაო გეგმები და აღრიცხვის ჟურნალი. ეს გააკეთეს მხოლოდ ცხაკაიას „ეგრისის", წულუკიძის „ფეიქრის" და წითელი წყაროს „შირაქის" მწვრთნელებმა. სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება სამმართველოს უფროსმა გ. გაჩანიძემ. მთელ რიგ მწვრთნელთა მუშაობის ხარისხის დაბალი დონე არ იძლევა პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევის საშუალებას, რაც ესოდენ გვჭირდება ახლა რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებისთვის. კოლექტივებში არ ტარდება სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, თუმცა რესპუბლიკის ჩემპიონატში დაცულია თამაშების ერთკვირეული ციკლი.

მაყურებელთა გარკვეული კატეგორიის უღირსი ქცევა სტადიონებზე ხშირად გამოწვეულია ადგილობრივი გუნდის მწვრთნელებისა და ფიზკულტურის კომიტეტების თანამშრომელთა თავშეუკავებელი გამოხდომებით. თვით მწვრთნელებიც ხშირად ვერ იჩენენ სათანადო თავშეკავებას. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, თუ არა მწვრთნელების უპასუხისმგებლობაზე, რომ ასეთ საქმიან თათბირზე, რომელიც პირველად ჩატარდა, მიუხედავად დროულად გაფრთხილებისა, არ გამოცხადნენ I ჯგუფის გუნდების მწვრთნელები თ. კუბლაშვილი („ლოკომოტივი", თბილისი), შ. გიაევი („განთიადი", ცხინვალი), ვ. ირემაძე („სინათლე", თბილისი), ა. გრძელიძე („სამცხე", აწყური), ტ. ეპიტაშვილი („მუქურა", ქობულეთი), II ჯგუფის გუნდების მწვრთნელები ე. გელდელმანი („განთიადი", ბორჯომი), ვ. ჯორბენაძე („მესხეთი", ახალციხე), ს. ჯაბადარი („გარეჯი", საგარეჯო), რ. ტალიაშვილი („შევარდენი", თბილისი), ს. ლონდარიძე („გარისი", თეთრი წყარო), გ. ბუჩაშვილი („არაგვი", დუშეთი), ს. ჯამბრულიძე („ბახტრიონი", ახმეტა), თ. ცინცაძე („ბახმარო", ჩოხატაური), ს. ერქომაიშვილი („დინამო", ქუთაისი), ა. ახობაძე („სალხინო", მაიაკოვსკი), მ. ტორონჯაძე („მექანიკოსი", სამტრედია). მათ მიმართ მიღებული უნდა იქნას მკაცრი ზომები.

კამათში გამოსულმა ვ. რამიშვილმა („ისანი", თბილისი) აღნიშნა, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატის დებულებაში და თვით კალენდარშიც დაშვებულია ხარვეზები, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს. ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს ცუდად ამარაგებენ სპორტული ფორმით, ხოლო თბილისის ექსპერიმენტული სპორტნაწარმის ფაბრიკის მიერ გამოშვებული ბურთები იმდენად უხარისხოა, რომ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებზე ფეხბურთელებს სრულიად უკარგავთ ვარჯიშის ხალისი.

სიტყვებით გამოვიდნენ ზ. ბარათაშვილი („მაღაროელი", ჭიათურა), რ. ჭანჭალეიშვილი („ქართლი", გორის რაიონი), ლ. ქოქოსაძე („კომეტა", ფოთი), გ. ოდიშარია („ეგრისი", ცხაკაია), მსაჯები ი. რუსეიშვილი (ბათუმი), ა. აბუთიძე (ქუთაისი).

სიტყვებით გამოვიდნენ მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. შავდია, ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე მ. პაიჭაძე.

ბოლოს გამოცხადდა შესწორებანი საქართველოს 1971 წლის პირველობის დებულებისთვის. დაწესდა შემდეგი პრიზები: ყველაზე დისციპლინიან გუნდს, საუკეთესო ბომბარდირს, ყველაზე აგრესიულ სტუმარს, დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩის მომგებს.

წლის ბოლოს გამოცხადდება რესპუბლიკის 33 საუკეთესო ფეხბურთელისა და 10 საუკეთესო მსაჯის ვინაობა.

I ჯგუფში შემოღებულია მწვრთნელის მოხსენებითი ბარათი ყოველი მატჩის შემდეგ.

„ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

კ. ჭიჭინაძის დაპირება

ახლახან „ლელოს" რედაქციამ მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ თბილისის ბარნოვის ქუჩაზე (№ 124, № 124 „ა" და № 126) მცხოვრებნი. წერილის ავტორები — ამ სახლების ბინადარი ბავშვები ჩიოდნენ, რომ მათ ეზოში არავითარი პირობა არაა შექმნილი სპორტში მეცადინეობისთვის.

ჩვენმა კორესპონდენტმა ვ. ბუკინმა ორჯონიკიძის რაიონის 65-ე საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის უფროსს კ. ჭიჭინაძეს მიმართა. „ბავშვებს ჯერჯერობით მართლაც ვერ შევუქმენით საჭირო პირობები, — თქვა კონტორის უფროსმა. — მათ ხომ ზაფხულში ყველაზე მეტი დრო აქვთ სპორტში მეცადინეობისთვის. მაგრამ ვეცდებით მდგომარეობა გამოვასწოროთ. უახლოეს ხანში ბარნოვის ქუჩაზე მდებარე № 126 სახლის ეზოში დავდგამთ მაგიდებს ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშისთვის".

რედაქცია იმედოვნებს, რომ კ. ჭიჭინაძე შეასრულებს დანაპირებს და ბავშვებს აქტიური დასვენების საშუალება მიეცემათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ფხაკაძე და მორელონი

წლევანდელი სეზონი ომარ ფხაკაძემ კარგად დაიწყო — რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სსრ კავშირისა და უცხოეთის ტრეკებზე. დამაჯერებელმა გამარჯვებებმა სიმფეროპოლში, კიევში, ლენინგრადსა და ტულაში დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი კარგ ფორმაშია და ერთოდ აგრესიულადაცაა განწყობილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფხაკაძის მთავარმა „შინაურმა" მეტოქეებმა ი. ცელოვალნიკოვმა, ვ. ტრიფონოვმა და ა. პოლეტაევმა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა. და მაინც, ვერც ერთმა მათგანმა წლეულსაც ვერ შეძლო ფხაკაძის „დამუხრუჭება". ომარის ნეიტრალიზება გაუჭირდათ სტუმრებსაც, რომლებიც ქართველი ველოსიპედისტის მხარდამხარ ასპარეზობდნენ ლენინგრადსა და ტულაში. მართალია, ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა, ფრანგმა დ. მორელონმა. სწორედ ამ პერიოდში მან ჯერ „მილანის დიდი პრიზი" მოიგო, შემდეგ კი მას „პარიზის დიდი პრიზიც" დაამატა.

ძველი სპორტული მეტოქეების მორელონისა და ფხაკაძის პირველი ოფიციალური შეხვედრა დანიაში იყო დანიშნული. „კოპენჰაგენის დიდი პრიზის" გათამაშებას კარგა ხნის ისტორია აქვს. პირველად ეს შეჯიბრება 1908 წელს ჩატარდა. მორელონმა ექვსჯერ მოიგო მთავარი ჯილდო, ფხაკაძემ კი მხოლოდ ერთხელ (1967 წელს). წლეულს კოპენჰაგენში თავი მოიყარა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესმა სპრინტერმა. ყოველ წუთს ელოდნენ მორელონის ჩამოსვლასაც, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა დაიგვიანა და ვერ შეძლო სტარტზე გამოსვლა. ფხაკაძე იოლად გაუსწორდა დანარჩენ მეტოქეებს: ნახევარფინალში მან ავსტრალიელი დ. ნიკოლსონი დაამარცხა, ხოლო ფინალში სძლია პოპულარულ დანიელ ველოსიპედისტს, მსოფლიო ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორს პ. პედერსენს — 2:1.

მეორე დღეს შეჯიბრების ორგანიზატორებმა „დიდი პრიზის" ფინალისტთა მონაწილეობით ეგრეთ წოდებული რევანში მოაწყო. ფხაკაძესა და პედერსენს „გამოცდა" უნდა ჩაებარებინათ მსოფლიო ჩემპიონ მორელონისთვის. პირველ სერიაში ფხაკაძემ მეორე პოზიცია დაიკავა, რათა ვირაჟზე პედერსენისთვის გაესწრო, მაგრამ დანიელმა დაარღვია რბოლის წესი და აშკარად შეუშალა ხელი მეტოქეს. სხვა ქვეყანაში ასეთი ტაქტიკისთვის პედერსენი უეჭველად დაისჯებოდა, მაგრამ ადგილობრივმა მსაჯებმა თანამემამულის მიმართ ლმობიერება გამოიჩინეს. ფოტოფინიშმა განსაზღვრა, რომ ფხაკაძემ რამდენიმე სანტიმეტრი წააგო პედერსენთან, მაგრამ მორელონზე აშკარად წინ იყო.

მეორე სერიაში პედერსენმა ვერაფერი მოუხერხა ფხაკაძეს, რომელიც ფინიშთან პირველი მიიჭრა. მორელონი ამჯერადაც მესამე იყო. დასკვნითი სერიის წინ საბჭოთა და დანიელმა ველოსიპედისტმა თანაბარი ქულები დააგროვეს, მორელონს კი, ბოლო სერიის მიუხედავად, III ადგილზე უკეთესი შედეგის ჩვენება აღარ შეეძლო. ამან განსაზღვრა მოასპარეზეთა ტაქტიკა. ფხაკაძემ და პედერსენმა ფრანგს დაწინაურების საშუალება მისცეს, თვითონ კი ერთმანეთს ყურადღებით სდარაჯობდნენ. საფინიშო სწორზე ფხაკაძემ ადვილად აუქცია გვერდი პედერსენს და საერთო I ადგილი დაიკავა. დანიელი II ადგილზე გავიდა, მსოფლიო ჩემპიონი კი III.

6-7 ივლისს ფხაკაძეს ლაიპციგში მონაწილეობა უნდა მიეღო „გდრ-ის დიდი პრიზის" გათამაშებაში. ამიტომაც სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელის რ. ვარგაშკინის რჩევით მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო: დანიის ქალაქების — ოდენსესა და ორხუსის რბოლებში მთელი ძალით არ ესპარეზა (ეს წმინდა კომერციული ხასიათის რბოლები იყო და ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კალენდარში არც შედიოდა) — თავი ლაიპციგისთვის შეენახა. მიუხედავად ამისა, ოდენსეში საბჭოთა სპორტსმენთაგან მხოლოდ ფხაკაძე მოხვდა ნახევარფინალში. აქ მისი მეტოქე ისევ პედერსენი იყო, რომელმაც ამჯერადაც წესის დარღვევით მოიგო რბოლა. ფინალში დანიელმა დაამარცხა მორელონი, ხოლო ფხაკაძემ III ადგილისთვის გამართული სერია მოუგო ნიკოლსონს.

ფხაკაძე ორხუსშიც შედარებით იოლად გავიდა უძლიერესთა ექვსეულში. შემდეგ მან დაამარცხა ცელოვალნიკოვი, ნახევარფინალში კი ნიკოლსონს შეხვდა. აქ მას მაინცდამაინც არ მოუკლავს თავი და გამარჯვება ავსტრალიელს დარჩა. მაგრამ მეორე ნახევარფინალში, სრულიად მოულოდნელად, მორელონი დამარცხდა მოსკოველ პოლეტაევთან. III ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს კვლავ ფხაკაძე და მორელონი შეხვდნენ.

ნიკოლსონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გაუჭირვებლად გასტეხა მოსკოველის საბრძოლო სული. მერე სტარტზე ფხაკაძე და მორელონი გამოვიდნენ. პირველი სერია საბჭოთა ველოსიპედისტის გამარჯვებით აღინიშნა (200 მ — 11,2); მეორე სერია კი მისთვის საბედისწერო გამოდგა. მან პირველი პოზიციიდან დიდი სისწრაფე განავითარა და, როცა ფინიშამდე 20 მეტრი იყო დარჩენილი, წინა თვლის საბურავი გაუსკდა და დაეცა. საბედნიეროდ, ტრავმა სახიფათო არ აღმოჩნდა. ომარმა გადაიტყავა სხეულის მარჯვენა მხარე. იგი უმალვე საავადმყოფოში გააქანეს, მეორე დღეს კი თვითმფრინავით მოსკოვში გაისტუმრეს. ფხაკაძის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. იგი ამჟამად სასტუმრო „როსიაში" ცხოვრობს და მკურნალობის სპეციალურ კურსს გადის, მაგრამ სპარტაკიადამდე ვერც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვერ მიიღებს მონაწილეობას. სწორედ ამიტომ, „გდრ-ის დიდი პრიზის" გათამაშება უფხაკაძეოდ ჩატარდა.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას ველოსიპედისტები 24 ივლისს იწყებენ და ფხაკაძის მთელი გულისყური ახლა ამ შეჯიბრებისადმია მიპყრობილი. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მსუბუქ წვრთნას დაიწყებს, მაგრამ საეჭვოა, რომ შეძლოს კილომეტრზე გიტში მონაწილეობა. ამ სახეობაში მას საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები აქვს, ოქრომდე კი ვერც ერთხელ ვერ ამაღლდა. წლეულს ომარს გადაწყვეტილი ჰქონდა ერთხელ კიდევ ეცადა ძალა კილომეტრიან გიტში, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო წვრთნის სპეციალური ციკლი. ტრავმა, როგორც ჩანს, ხელს შეუშლის მიზნის განხორციელებაში. რაც შეეხება სპრინტს, აქ მისი გადაწყვეტილება მტკიცეა: ფხაკაძე გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

ერთი თვის შემდეგ კი იტალიის ქალაქ ვარესეში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. ფხაკაძე კარგა ხანია რევანშზე ოცნებობს. ვინ იქნებიან მისი მთავარი მეტოქეები ვარესეში? უცხოელ ველოსიპედისტთა შორის ფხაკაძე პირველ ყოვლისა მორელონს ასახელებს. მსოფლიო ჩემპიონი დანიაში შედარებით სუსტად გამოვიდა, მაგრამ აგვისტოსთვის იგი უეჭველად ფორმაში იქნება. საბჭოთა ველოსიპედისტს ძლიერ მეტოქეობას გაუწევენ მორელონის თანამემამულეები პ. ტრანტენი და ა. კანტენი, დანიელი პ. პედერსენი, იტალიელი ჯ. კარდი, ავსტრალიელი დ. ნიკოლსონი და გდრ-ის უძლიერესი სპრინტერი თ. გეშკე. როგორც ხედავთ, პრეტენდენტთა რიცხვი საკმაოა და, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატში იოლი რბოლა არ იქნება. და მაინც, ფხაკაძე ღრმადაა დარწმუნებული, რომ ვარესეს ტრეკი, სადაც მას არაერთი გამარჯვება უზეიმია, მისთვის ამჯერადაც ბედნიერი იქნება.

მ. ბარამია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

სურათებზე: „კოპენჰაგენის დიდი პრიზის" გათამაშების პროგრამა; ო. ფხაკაძე (მარცხნივ) და დ. მორელონი შეჯიბრების წინ; ფხაკაძის დავარდნის მომენტი ორხუსის ტრეკზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

9 ივლისს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „ალგა" (ფრუნზე) 3:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:1, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 4:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:0, „დაუგავა" (რიგა)—„ჟალგირისი" (ვილნიუსი) 1:1.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 11 ივლისი. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). დასაწყისი 18 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „სულორი" (ვანი). 18 ს. „ისნის" სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი). 17 ს. 30 წ.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების I კურსზე.

ინსტიტუტი ამზადებს ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს (სპორტის სახეობათა მიხედვით). დღის ფაკულტეტებზე სწავლების ვადა 4 წელია, დაუსწრებელზე — 5.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ 31 ივლისამდე ინსტიტუტის რექტორის სახელზე, ფაკულტეტისა და სპეციალობის აღნიშვნით.

დღის განყოფილება

მიღება წარმოებს:

ა) უმაღლესი სპორტული დაოსტატების ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე — მძლეოსნობა, ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული, აკრობატიკა), ცურვა, წყალში ხტომა და წყალბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ნიჩბოსნობა, ველოსპორტი, ფარიკაობა. აღნიშნულ ფაკულტეტებზე შემსვლელს უნდა ჰქონდეს I სპორტული თანრიგი მაინც;

ბ) პედაგოგიური ფაკულტეტის შემდეგ სპეციალობებზე — მძლეოსნობა, ტანვარჯიში (სპორტული, მხატვრული, აკრობატიკა), ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ხელბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, კრივი, ძალოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიისა და სატყვიო სროლა, მშვილდოსნობა, სამთოსათხილამურო სპორტი. პედაგოგიურ ფაკულტეტზე შემსვლელს უნდა ჰქონდეს II სპორტული თანრიგი მაინც;

გ) სამასწავლებლო ფაკულტეტზე სპეციალობები განსაზღვრული არ არის. განცხადებები მიიღება სპორტის ნებისმიერ სახეობაში. შემსვლელს უნდა ჰქონდეს III სპორტული თანრიგი მაინც.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე განცხადებები მიიღება სპორტის ნებისმიერ სახეობაში (პრივილეგია ეძლევა პროფილით მომუშავეს). შემსვლელს უნდა ჰქონდეს III სპორტული თანრიგი მაინც.

განცხადებას უნდა დაერთოს:

1. დახასიათება-რეკომენდაცია, რომელიც გაიცემა ბოლო სამუშაო ადგილიდან (იმ პირთათვის, ვისაც აქვს პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), პარტიული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობის გამგეობის (კოლმეურნეთათვის) მიერ სკოლადამთავრებულებს დახასიათება-რეკომენდაციას აძლევენ სკოლის პედაგოგიური საბჭო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.
2. საშუალო განათლების საბუთი (დედანი).
3. 3X4 სმ ზომის 4 ფოტოსურათი.
4. საკლასიფიკაციო ბილეთი სპორტის არჩეულ სახეობაში.
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული შრომადღეების დაწესებული მინიმუმი ბოლო ორ წელიწადში.
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედრო ვალდებულებმა) ან მიწერის ცნობა (გასაწვევი ასაკის პირებმა).

მისაღები გამოცდები ტარდება 1-20 აგვისტოს შემდეგ საგნებში:

ა) ფიზიკაში (ზეპირი), ბიოლოგიაში (სამასწავლებლო ფაკულტეტი);
ბ) ქიმიაში (ზეპირი);
გ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის;
დ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის;
ე) სპეციალობაში (სპორტის არჩეული სახეობა);
ვ) საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

გამოცდები ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და სპორტული ფორმით (დადგენილი წესის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღები კომისიის სამდივნოში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი. ი. ჭავჭავაძის პრ. № 49.

რექტორატი.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04745